განკარგულება:**g-87. 87241572**
თარიღი:**05/06/2024**

განკარგულება N30

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აბანოს უღელტეხილის მიმდებარედ 474.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (50.26.31.154) აღნაგობის ფორმით, პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის, ქირის საწყისი საფასურისა და პირობების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 53-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას - განახორციელოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, **აბანოს უღელტეხილის მიმდებარედ 474.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (50.26.31.154) სარგებლობაში გადაცემა აღნაგობის ფორმით, პირობიანი აუქციონის წესით.**

2. დამტკიცდეს - აღნიშნული მიწის ნაკვეთის განკარგვის პირობები:

ა) სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5% -280.00 (ორასოთხმოცი) ლარის ოდენობით

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 25 წელი

გ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა:

- ორი წლის განმავლობაში უნდა განახორციელოს არანაკლებ 100000 (ასი

ათასი)ლარის ინვესტიცია.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM